განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21/04/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:03/06/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	46
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა არის ახალი პროგრამა. პროგრამის მიზნები მოიცავს რა საჯარო მმართველობის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე, შედეგზე ორიენტირებული კვლევისა და ახალი ცოდნის შექმნას; საჯარო მმართველობის გამოწვევებზე ორიენტირებული მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადებას; მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის განვითარებაში წვლილის შეტანას სრულ შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან.
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სულ მცირე 6 სემესტრს (3 წელი).

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 46 ECTS კრედიტია, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური მოცულობაა 36 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისა - 10 ECTS.
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადოქტორო დისერტაციის შესრულებას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე მუშაობისას დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოკვიუმს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით დისერტაციის ნაწილის დამუშავებას, დაწერასა და დარგობრივი კომისიის წინაშე დაცვას.
სადოქტორო პროგრამის ფინალური კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2022 წლის 1 აპრილის # 341361 ბრძანების** საფუძველზე შექმნილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი უსდ-ში განახორციელა 2022 წლის 21 აპრილს.
აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს რექტორს, ვიცე-რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა), დათვალიერება მოხდა უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელების დროს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული შეხვედრები და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების შეფასება საკმარისი აღმოჩნდა ექსპერტთა

ჯგუფისთვის, რომ დეტალურად განეხილა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა სრულად შესაბამისია აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

არჩევით კურსებში, დოქტორანტის თეორიული ცოდნის შესაძლო ხარვეზების შევსების მიზნით, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კურსების შეთავაზება (მაგალითად, ეკონომიკის, სამართლის ან სხვა);
სადოქტორო პროგრამაში ჩართული საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული (#560341, 31/05/2022) კორესპონდენციის პასუხად, რომელსაც თან ერთვის უსდ-ს პოზიცია (№510-04/22, 24/05/2022) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ დასკვნის საბოლოო ვერსიაში დამატებითი დაზუსტებების საჭიროება არ არსებობს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მისაღებ ეტაპზე ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურის ეფექტურობის გაზრდისათვის შეხვედრების საათების გაზრდა, ხარისხის სამსახურის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროცესის მონიტორინგი და შეფასება და აღნიშნული საათების აკადემიური პერსონალის დატვირთვასი გათვალისწინება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, კულტურათა და თაობათა დაახლოებისა და საზოგადოების განვითარების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სწავლის, სწავლებისა და კვლევის უზრუნველყოფა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. უსდ-ს მოცემულ მისიასთან სრულ შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები რომლებიც მოიცავს: საჯარო მმართველობის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე, შედეგზე ორიენტირებულ კვლევას და ახალი ცოდნის შექმნას; საჯარო მმართველობის გამოწვევებზე ორიენტირებული მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადებას; მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის განვითარებაში წვლილის შეტანას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის მისია; • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და პროგრამის თანახმად მტკიცდება, რომ ფორმულირებულ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია საკვანძო მიმართულებები, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს; პროგრამის სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას სადოქტორო პროგრამის მიერ.

ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებული:

- განსაზღვრავს საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებს, მათი კვლევის საჭიროებას, ირჩევს კვლევის შესაბამის მეთოდებსა და განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს;
- იკვლევს და კრიტიკულად აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ სტრატეგიულ, ორიგინალურ, კომპლექსურ და სიღრმისეულ დასკვნებს;
- სწავლების თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გეგმავს და ატარებს ლექციებსა და სემინარებს, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით დისკუსიებში საჯარო მმართველობის მიმართულებით;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით ქმნის და აქვეყნებს მაღალი დონის აკადემიურ ნაშრომებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევასა და მის შედეგებზე.

აღნიშნული სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მიღწევადია და რეალისტური. შედეგების მიღწევა მეტწილად განპირობებულია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზირებით, ამ მიმართულებით შესაბამისადაა დაჯგუფებული პროგრამის სასწავლო კომპონენტი.

საბაუნიში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება პროგრამაში გაწერილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით. შეფასებაში ჩართულია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები კი იღებენ

სისტემატურ უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე. დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდება რეკომენდაციები, რომლის შესაბამისად პროგრამა გადის დამატებითი შეფასებას ეტაპს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების წესი“; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია 2021 წელს შემუშავებული „დოქტორანტურის დებულებით“, რომელიც ადგენს დოქტორანტურაში სწავლის უფლების მქონე პირებს - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროგრამა ადგენს დამატებით მოთხოვნებს, მათ შორის: გასაუბრება მიმღებ დარგობრივ კომისიასთან, რომელსაც აკომპლექტებს სადისერტაციო საბჭო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე დარგობრივი კომისია კანდიდატს აფასებს 100-ქულიანი სისტემით. დოქტორანტური დებულების დანართი 1.2. დეტალურად აღწერს კანდიდატის შეფასების კრიტერიუმებს და მაქსიმალურ ქულას თითოეული კრიტერიუმისათვის, მათ შორისაა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (10 ქულა), კანდიდატის აკადემიური გამოცდილება (10 ქულა), კვლევის პროექტი, რომელიც კანდიდატმა საბუთების წარდგენის ეტაპზე უნდა წარმოადგინოს. კვლევის პროექტი ჯამში ფასდება 50 ქულით, საიდანაც 15 ქულა ენიჭება საკვლევი თემის აქტუალობას და დისეტრტაბელურობას, 15 - საკვლევი თემის პრობლემას, 10 - სტრუქტურას, 10 - მრავალფეროვნებას. სხვა კრიტერიუმებია - კანდიდატის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოჩენის უმარი (10 ქულა), მოტივაცია (10 ქულა), მსჯელობის დამაჯერებლობა (10 ქულა). დანართში ასევე წარმოდგენილია კანდიდატის შეფასების რუბრიკა. გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სამი უცხო ენიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთის B2 დონეზე ფლობას, რაც შესაძლოა დადასტურდეს საერთაშორისო სერტიფიკატით ან უსდ-ს უცხო ენების ცენტრის მიერ ჩატარებული მისაღები გამოცდის შედეგით. პროგრამაზე მიღების წინაპირობას არ წარმოადგენს კონკრეტულ დარგში სამაგისტრო ან საბაკალავრო განათლების ქონა. ასეთი წინაპირობა პროგრამის პირველ ვარიანტში იყო, მოთხოვნილი იყო სოციალური ან ჰუმანიტარული განათლება, თუმცა, დამსაქმებლების მოთხოვნით ეს პირობა მოიხსნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საკითხია, მომავალი დოქტორანტის საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის შეფასება. ამისათვის, გათვალისწინებულია რამდენიმე კომპონენტი: კვლევის პროექტი, რომელიც საჯარო მმართველობის თემატიკას უნდა ეხებოდეს; დოქტორანტობის კანდიდატის პრაქტიკული

გამოცდილება საჯარო სექტორში, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობებით და დამსაქმებლის სამსახურებრივი რეკომენდაციით. აღსანიშნავია ისიც, რომ მისაღებ ეტაპზე კანდიდატს უნდა ჰყავდეს შერჩეული თემის ხელმძღვანელი და კვლევის პროექტის დამუშავება სწორედ ხელმძღვანელთან კონსულტაციების გზით უნდა მოხდეს. სავარაუდო ხელმძღვანელთა ჩამონათვალი განთავსებულია პროგრამის ვებ-გვერდზე და შედგება უსდ-ს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალისაგან, ხოლო კანდიდატის ხელმძღვანელთან დაკავშირებას უსდ თავად უზრუნველყოფს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უსდ-ს მიერ შემუშავებულ რეგულაციებს. კანონმდებლობის მიხედვით არის ასევე განსაზღვრული პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის წარსადგენი საბუთების ნუსხა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საკმაოდ რთულია და კანდიდატისაგან მოითხოვს სრულად გაცნობიერებას როგორც სადოქტორო საფეხურზე სწავლის სირთულის, ასევე სადისერტაციო თემის მონახაზის და კვლევის ძირითადი მიმართულების შესახებ. პროცედურების აღწერა წარმოდგენილია შესაბამის დოკუმენტებში და განთავსებულია პროგრამის ვებ-გვერდზე, შესაბამისად, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. თუმცა, პროცედურების სირთულე გვავარაუდებინებს, რომ შესაძლებელია, დაწუნებულ კანდიდატს გაუჩნდეს პრეტენცია, რომ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო სამართლიანი. მით უმეტეს, რომ საკვლევი თემის მიხედვით, შესაძლოა კანდიდატი ყველა პოტენციურმა ხელმძღვანელმა დაიწუნოს და მას არც მიეცეს შესაძლებლობა გასაუბრებაზე გასვლის. როგორც სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა, ხელმძღვანელთან წინასწარი კონსულტაცია კვლევის პროექტის შესახებ შედარებით ფორმალურ ხასიათს ატარებს, უმეტესად ერთი შეხვედრით ამოიწურება და მხოლოდ ზოგადი თემატიკის შერჩევით შემოიფარგლება. ამიტომაც შესაძლებელია ხელმძღვანელისა და დოქტორანტის მოლოდინები კვლევის განვითარებასთან დაკავშირებით არ დაემთხვას ერთმანეთს და შემდგომი თანამშრომლობა არაეფექტური იყოს. ექსპერტების მოსაზრებით, ხელმძღვანელის წინასწარი შერჩევა უსდ-ს აკადემიური პერსონალიდან კარგი პრაქტიკაა, მაგრამ სასურველია ამ პროცესის ეფექტურობის გაზრდა, მაგალითად, შეხვედრების რაოდენობის გაზრდით, პროცესის მონიტორინგით ხარისხის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან და ასევე, აღნიშნული საათების პროფესორის დატვირთვაში გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში (მით უფრო პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის პირობებში, რაც დაგეგმილი აქვს უსდ-ს), აღნიშნული ეტაპი ფორმალობად იქცევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, აღწერა • დოქტორანტურის დებულება და დანართი 1.2. • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მისაღებ ეტაპზე ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურის ეფექტურობის გაზრდისათვის შეხვედრების საათების გაზრდა, ხარისხის სამსახურის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროცესის მონიტორინგი და შეფასება და აღნიშნული საათების აკადემიური პერსონალის დატვირთვასი გათვალისწინება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედგენილია უსდ-ში 2021 წელს მიღებული დოკუმენტის „საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი“ მიხედვით. ამ დოკუმენტის შეაბამისად, სადოქტორო საფეხურის პროგრამა წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, ხოლო მისი სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონეს. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია პროგრამის ისეთი ასპექტები, როგორიცაა: სტუდენტზე ორიენტირებულობა, მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხზე აქცენტი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა; ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გათვალისწინება; სტუდენტთა კომპეტენციების განვითარება; პროგრამის განხორციელების და ხარისხის შეფასების მექანიზმები, ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზანია საჯარო მმართველობის დარგში პრაქტიკისა

და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული ანალიზის ჩატარება, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა.

პროგრამა შინაარსობრივად ორიენტირებულია სადოქტორო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევაზე, პროგრამის ძირითადი მოცულობა მიმართულია კვლევის განხორციელებაზე, შესაბამისად, სასწავლო კომპონენტი, შეიძლება ითქვას, „სიმბოლურია“ - რაც გულისხმობს თეორიული მასალის მინიმალურად მიწოდებას დოქტორანტისათვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მიხედვით გათვალისწინებულია კანდიდატის ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეფასება საჯარო მმართველობის სფეროში; შესაბამისად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურაც ითვალისწინებს გარკვეული ცოდნის და გამოცდილების დოქტორანტის არსებობას.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და სრულად პასუხობს ევროპული კრედიტების ტრასფერის სისტემის მოთხოვნებს. პროგრამა მინიმუმ სამწლიანია და შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტი განაწილებულია სამ სემესტრზე და მოიცავს 46 კრედიტს, მათგან 36 კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 10 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი არ მოიცავს კრედიტებს. ის გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც ფასდება ერთჯერადად, სამ კოლოკვიუმს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით დისერტაციის ნაწილის დამუშავებას, დაწერასა და დარგობრივი კომისიის წინაშე განხილვას. კოლოკვიუმები არ ფასდება კრედიტით ან ქულით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია მე-6 სემესტრში. სავალდებულოა, თითოეული კოლოკვიუმი კომისიის მიერ (წევრების ხმათა უმრავლესობით) შეფასებული იყოს დადებითად, იმისათვის, რომ დოქტორანტს მიეცეს უფლება, გადავიდეს შემდეგ საფეხურზე და ბოლოს - სადისერტაციო ნაშრომზე.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები შერჩეულია ისე, რომ ძირითადად ემსახურება დოქტორანტის კვლევითი უნარების განმტკიცებას. ასეთი სახით კურიკულუმი პასუხობს პროგრამის მიზნებს, სადაც აქცენტირებულია კვლევის განხორციელება, ანალიზი და აკადემიური მუშაობის უნარები. შესაბამისად, სავალდებულო საგნებია: კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში, აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა, სწავლების თანამედროვე მეთოდები; გარდა ამისა, დოქტორანტს კრედიტები ენიჭება პროფესორის ასისტენტობასა და კვლევით სემინარში. აღნიშნული კურსებისათვის წინაპირობებს, წარმოადგენს შესაბამისად, სწავლების თანამედროვ მეთოდები და კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში.

კვლევის სემინარის ფარგლებში დამუშავებული თემა საჯარო მმართველობის სფეროდან უნდა იყოს, მაგრამ განსხვავდებოდეს სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თემატიკისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, ხოლო დაშვების წინაპირობები - ადეკვატური. ასევე, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა ანალოგიური,

ძირითადად უცხოური, სადოქტორო პროგრამების სტრუქტურებისა და შინაარსის ანალიზს. ამ გზით სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო საუკეთესო პრაქტიკის, თანამედროვე მიღწევებისა და უახლესი კვლევების გამოცდილების გაზიარება წამყვანი უნივესიტეტებიდან აშშ-სა და ევროპაში (ილინოისის უნივერსიტეტი, ჩიკაგო, აშშ, ალფრედ ნობელის ღია ბიზნეს სკოლა, შვეიცარია, ბოკონის უნივერსიტეტი, იტალია).

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან. არჩევით სასწავლო კურსებში დოქტორანტს შეეთავაზება ორი კურსი - სასწავლო კურიკულუმისა და სილაბუსის შედგენა და კვლევითი პროექტის დაგეგმვა და მართვა.

ორივე კურსი არის პრაქტიკული ხასიათის და დოქტორანტს კონკრეტული ტრანსფერული უნარების განმტკიცებაში უწყობს ხელს. გარდა ამისა, ერთი კურსის არჩევისას, დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა, მეორე თემაზე გაიაროს მოკლევადიანი ტრენინგი. აღნიშნული არჩევითი კურსები პასუხობს პროგრამის მიზნებს, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი და აკადემიური პერსონალი. თუმცა, რამდენადაც სავალდებულო სასწავლო კომპონენტში დარგობრივი შინაარსის კურსები არ არის შეთავაზებული, ექსპერტთა აზრით, სასურველი იქნება, დოქტორანტს ჰქონდეს შესაძლებლობა, არჩევით კურსებში თეორიული ცოდნის შესაძლო ხარვეზების გამოსწორებისა. მაგალითად, შესაძლებელია, შეთავაზებული იყოს ეკონომიკური, სამართლის ან სხვა, საჯარო მმართველობის სფეროსათვის მნიშვნელოვანი შინაარსის მქონე კურსები.

პროგრამის შემუშავების დროს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო. რამდენადაც არსებული მდგომარეობით უსდ-ში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამა (სამართლის), ხოლო საჯარო მმართველობის პროგრამის შემუშავების ეტაპზე პროგრამას აქტიური დოქტორანტი არ ჰყავდა, სტუდენტის ფუნქციის ჩართული იყო საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი. ინტერვიუებიდან დასტურდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. გარდა ამისა, დამსამქმებლებს პროგრამის აღწერა და კურიკულუმი გაეგზავნათ წერილობითი სახით. დამსაქმებელთა რეკომენდაციით, გაიზარდა პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა მისაღებ ეტაპზე, შეიცვალა (გაფართოვდა) სწავლის მსურველისათვის წინა საფეხურის განათლების სფეროს მოთხოვნა, დაიხვეწა რამდენიმე ტექნიკური დეტალი დისერტაციის დაცვის პროცედურებში. გარდა ამისა, პროგრამა გარე შეფასებისათვის გაეგზავნა სარაგოსას და ლიონის უნივერსიტეტებს.

პროგრამის აკრედიტების შემთხვევაში პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ განთავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აღწერა
- დოქტორანტურის დებულება
- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა
- პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შედეგების რუკა
- სავალდებულო სასწავლო კომპონენტის კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან,

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: არჩევით კურსებში, დოქტორანტის თეორიული ცოდნის შესაძლო ხარვეზების შევსების მიზნით, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კურსების შეთავაზება (მაგალითად, ეკონომიკის, სამართლის ან სხვა)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აღინიშნა, პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტზე, რომელსაც აქვს საჯარო მმართველობაში პრაქტიკული გამოცდილება და საკმარისი თეორიული ცოდნა. შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსი - კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში - გულისხმობს აღნშნული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი დოქტორანტისათვის კვლევის უმნარების განმტკიცებას. რამდენადაც მისაღებ ეტაპზე დოქტორანტს კვლევის თემა და მიმართულება განსაზღვრული აქვს, სასწავლო კურსი,

ისევე, როგორც შემდგომი კვლევის სემინარი, ინდივიდუალურ მუშაობაზე აკეთებს აქცენტს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მირწევას. აღსანიშნავია ისიც, რომ კურსს „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ უძღვება პროფესორი, რომლის კვალიფიკაცია საჯარო მმართვეობაა. კურსის მიზნებია: სტუდენტს გააცნოს სოციალური და ინტერდისციპლინური კვლევის სტანდარტული და ინოვაციური მეთოდები, რომლებიც საჯარო მმართველობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას გამოიყენება; შესძინოს პრაქტიკული დავალებების შესრულებით საჯარო მმართველობაში კვლევის შესაბამისი მეთოდებით მაღალი დონის აკადემიური ნაშრომის შექმნისა და საჯაროდ წარდგენის უნარ-ჩვევები.

შესაბამისად, სწავლის შედეგების მიხედვით, დოქტორანტი განსაზღვრავს თვისებრივ, რაოდენობრივ, დესკრიფციულ, ანალიტიკურ სოციალურ კვლევის მეთოდებსა და მათი გამოყენების მოცულობას საჯარო მმართველობაში აკადემიური კვლევებისას; და განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევის შესასრულებლად კვლევის მეთოდოლოგიას, რელევანტურ, სოციალურ და ინტერდისციპლინურ კვლევის მეთოდებსა და მათი გამოყენების საჭიროებას კვლევის სხვადასხვა ეტაპზე (ცოდნა და გაცნობიერება); ასევე აანალიზებს საჯარო მმართველობის ძირითად პრობლემატიკას და იყენებს მასთან მიმართებით თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შესაბამის მეთოდებს; ქმნის ანალიტიკურ, შედეგზე ორიენტირებულ და აკადემიური სტანდარტების შესაბამის კვლევას; აანალიზებს სოციალური კვლევის კონკრეტული მეთოდის მნიშვნელობას, დანიშნულებასა და მისი გამოყენების რელევანტურობას სამეცნიერო-კვლევით პროცესში; აყალიბებს კვლევით მეთოლოდოგიის გამოყენების შედეგად მიღებულ საკუთარ, არგუმენტირებულ და ლოგიკურ დასკვნებს (უნარი).დანარჩენი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ აისახება შესაბამისი კურსის შინაარსში და შეესაბამება უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურს.

სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია სასწავლო კურსის ფარგლებში სავარაუდო ინდივიდუალური და საკლასო დატვირთვის თანაფარდობით და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ასე მაგალითად, კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში 5 ECTS-ს მოიცავს. საკონტაქტო საათებიდან 20 ეთმობა ლექციას, 10 სემინარს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრულია 92 საათი. ხოლო კვლევითი სემინარი, რომელიც 10 ECTS-ს მოიცავს, სულ 8 საკონტაქტო საათს და ხელმძღვანელთან 5 კონსულტაციას გულისხმობს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისათვის დოქტორანტს ეძლება 242 საათი. შესაბამისად, ამ კურსის შედეგების შეფასება ხდება სასემინარო ნაშრომით, რომელიც თემატურად განსხვავდება სადისერტაციო ნაშრომისაგან, წარმოადგენს პრაქტიკულად დამოუკიდებელ კვლევას და მისი შეფასება ხდება თითქმის იმავე კრიტერიუმებით, როგოც საბოლოო კვლევისა - კვლევის პრობლემის აქტუალობა, მეთოდოლოგია, შინაარსობრივი გამართულობა, შედეგების ლოგიკურობა, წყაროების მრავალფეროვნება და ციტირების წესების დაცვა. ასევე, დოქტორანტს მოეთხოვება მომზადებული სასემინარო ნაშრომის ზეპირი საჯარო დაცვა, რომელიც ასევე დეტალურად გაწერილი კრიტერიუმებით ფასდება. 5 ECTS-ის მოცულობისაა პროფესორის ასისტენტობა, რომლის ფარგლებშიც, მართალია, მაღალია დოქტორანტის დამოუკიდებელი დატვირთვა (104 სთ), თუმცა კურსის შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე (პრაქტიკული ცოდნის შეძენა პედაგოგიკაში, დამოუკიდებლად სალექციო და სასემინარო მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა...),

კრედიტების განაწილება ადეკვატურია. აღნიშნული კურსის წინაპირობაა სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი, რომელიც 6 ECTS-ს მოიცავს და სადაც სალექციო, პრაქტიკული და დამოუკიდებელი საათების განაწილება შეესაბამება კურსის სირთულეს. სწავლის შედეგები განსაზღვრულია ლოგიკურად ისე, რომ ამ შედეგების ასახვა ხდება პროფესორის ასისტენტობის კურსში.

10 ECTS-ი ენიჭება კურსს „აკადემიური წერა და დისერაციის არქიტექტონიკა“, რაც, კვლევის მეთოდების კურსის მსგავსად, მოიცავს როგორც საკმაოდ დიდი რაოდენობით საკონტაქტო საათებს (33), ასევე დატვირთულ დამოუკიდებელ მუშაობას (217 სთ). შესაბამისად განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი, რომელიც ამზადებს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისათვის საჭირო ცოდნის და უნარების შეძენის გზით, სწავლის შედეგები:

სტუდენტი: განსაზღვრავს სადოქტორო ნაშრომში ციტირების ტექნიკის დანიშნულებასა და წყაროთა დამოწმების სადოქტორო სტანდარტს, ასევე, სამეცნიერო წყაროთა მოძიებისა და ანალიზის ტექნიკას; აღწერს სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურასა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ ძირითად ინფორმაციას, ასევე, სადოქტორო კვლევის ძირითად შემადგენელ ნაწილებსა და მათ დანიშნულებას დისერტაციის შესრულებისთვის (ცოდნა და გაცნობიერება); ციტირების ტექნიკის საშუალებით იმოწმებს და აანალიზებს სხვადასხვა წყაროს, ახდენს მათ ინკორპორირებას სადოქტორო ნაშრომის ერთიან ტექსტობრივ ქსოვილში; აკადემიური კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით ქმნის მაღალი ხარისხის სადოქტორო ნაშრომს; აყალიბებს გამართულ და პრობლემაზე ორიენტირებულ სათაურებს სადოქტორო ნაშრომისა და კვლევითი ნაშრომებისთვის; შეიმუშავებს სადოქტორო კვლევის გეგმასა და გრაფიკს, ასევე სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურას; აყალიბებს სადოქტორო ნაშრომის შესავალსა და დასკვნას, იყენებს მართებულ სტილისტიკას, სისტემურად ალაგებს გამოყენებულ წყაროებს და ქმნის ბიბლიოგრაფიას; ამზადებს სადოქტორო ნაშრომს საჯარო დაცვისთვის, საჯარო დაცვასა და სადოქტორო კვლევის მიგნებების შესახებ ქმნის აკადემიურ პრეზენტაციას (უნარი); და მოქმედებს მაღალი აკადემიური სტანდარტითა და ეთიკის დაცვით, სადოქტორო კვლევისას აყალიბებს საკუთარ ღირებულებითი სისტემას და იყენებს მას პრაქტიკაში, ასევე აკადემიური კვლევისას მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, იცავს ანტიპლაგიატის წესებს და პატივს სცემს განსახვავებულ აკადემიურ მოსაზრებებს (პასუხსიმგებლობა და ავტონომიურობა).

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტებია სადოქტორო ნაშრომის მოდელირებული სახელწოდება, სადოქტორო ნაშრომის მოდელირებული შესავალი, სადოქტორო ნაშრომის მოდელირებული სტრუქტურა, ციტირების ტექნიკა, სადოქტორო ნაშრომის მოდელირებული დასკვნა და ბიბლიოგრაფია (სადოქტრო ნაშრომის მოდელირებული ნაწილებიდან არცერთი არ უნდა იქნეს აღებული სტუდენტის, ან დოქტორანტის მიერ რეგისტრირებული დისერტაციის თემატიკიდან). სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტს აქვს თავისი წილი შუალედური შეფასების 70 ქულის ფარგლებში. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტია სადოქტორო ნაშრომის მოდელირებული საჯარო დაცვა, რომელიც სავალდებულოა. სადოქტორო ნაშრომის მოდელირებულ საჯარო დაცვაზე გა სვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი აქვს შუალედური შეფასების

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 26 ქულა. სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვილი არ ექნება შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 26 ქულა, სადოქტორო ნაშრომის მოდელირებულ დაცვაზე არ დაიშვება. დასკვნითი შეფასება ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სადოქტორო ნაშრომის მოდელირებულ დაცვაზე დააგროვებს მინიმუმ 15 ქულას, ამასთან, დოქტორანტი ვალდებულია პრეზენტაციასა და დისკუსიაში მონაწილეობაში - თითოეულში დააგროვოს ქულათა ნახევარი მაინც. სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (30 ქულა) გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. დოქტორანტს ეკრძალდება მოდელირებული დავალებების შესრულება საკუთარ სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებულ თემატიკაზე. მსგავსი დავალება არ ფასდება. სასწავლო კომპონენტის პრაქტიკული და კვლევითი ხასიათიდან გამომდინარე, შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები (სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსების გამოყენება, ჯგუფური მუშაობა) შერჩეულია თითოეული კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს როგორც ქართულენოვან, ასევე 9შერჩევით) ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულენოვან მასალას, რომელთა გაცნობა დოქტორანტს შეუძლია იმ ენაზე, რაც მისაღებ ეტაპზე ჩააბარა. სილაბუსებში ჩამოთვლილი ლიტერატურის დიდი ნაწილი 2010 წლის შემდეგ, ბევრი 2015 წლის შემდგომ პუბლიკაციებს განეკუთვნება. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, სავალდებულო ლიტერატურაზე წვდომა უზრუნველყოფილია. სავალდებულო სამივე კურსში (კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა და სწავლების თანამედროვე მეთოდები) საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არის მითითებული ძირითად ჩამონათვალში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტისათვის ლიტერატურის ათვისების გასაიოლებლად, თითოეული ლექციის ბოლოს მითითებულია კონკრეტული ლიტერატურა და შესაბამისი გვერდები. სასწავლო მასალის ნაწილი შედგება სტატიებისა და სამეცნიერო კვლევებისაგან მაღალრეიტინგული ჟურნალებიდან, მაგალითად The Journal of Clinical Ethics; ასევე თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურისგან, რაც უზრუნველყოს სასწავლო მასალის შესაბამისობას სფეროს აქტუალურ და თანამედროვე მიღწევებთან და უახლესი კვლევების გაცნობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ძირითადი სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან, სამეცნიერო, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • ბიბლიოთეკის დათვალიერება
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აღინიშნა, პროგრამაზე ჩაბარების ეტაპზე, კანდიდატს მოეთხოვება პრაქტიკული გამოცდილების ქონა საჯარო სექტორსი, რაც დასტურდება დასაქმების ადგილიდან ცნობით და დამსაქმებლის სარეკომენდაციო წერილით. სწავლების პროცესში, დოქტორანტის პრაქტიკული უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია პროფესორის ასისტენტობის კურსით, რომელსაც წინაპირობად განსაზღვრული აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს დოქტორანტის მიერ პედაგოგიური უნარების განმტკიცებას, დამოუკიდებლად ჯგუფთან მუშაობას, სალექციო და სასემინარო მუშაობის დაგეგმვას და განხორციელებას და სხვა. გარდა ამისა, დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს სადისერტაციო საბჭოს წევრს სალექციო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს დოქტორანტის საკვლევი თემის ან მომიჯნავე მიმართულებით საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრის ხელმძღვანელობით სემინარის/პრაქტიკული მეცადინეობის, ლექციების ჩატარებას; შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის მომზადებული საკითხების შედგენას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ნაწერების გასწორებას, პროფესორის ლექციებზე დასწრებას და დამხმარე სალექციო მასალების შემუშავებას. რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, როგორც აღინიშნა, სწორედ მას ენიჭება უპირატესობა პროგრამაზე, თეორიულ სწავლებასთან შედარებით. სამეცნიერო და

კვლევითი უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით (სადისერტაციო ნაშრომი, კოლოკვიუმები), ასევე სასწავლო კურსებით. დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა გათვალისწინებულია ასევე კვლევითი სემინარის კურსით, რომლის ფარგლებში დოქტორანტი ქმნის კარგად სტრუქტურირებულ ნაშრომს, და ასევე ტარდება ნაშრომის საჯარო დაცვა. გარდა ამისა, კვლევითი დავალებები დოქტორანტს ეძლევა კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებშიც. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს 3 კვლევითი სტატიის პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალში, და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში. სტუდენტებთან და კურსადმთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ უსდ ხელს უწყობს სტუდენტებს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს ასევე სხვადსხვა უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის მემორანდუმები. დოქტორანტები მონაწილეობენ სამეცნიერო გრანტებში, სამცენიერო მივლინენებებში, კონფერენციებში, ტრენინგებსა და სემინარებში. საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში ჩადებულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში თანამშრომლობის პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა) • საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აღწერა • დოქტორანტურის დებულება • მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები ორიენტირებულია დოქტორანტისათვის დამოუკიდებელი კვლევითი უნარების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, პედაგოგიური უნარების განვითარებაზე.
დოქტორანტურის დებულება ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პროცესს და პროგრამას. როგორც ინტერვიუებიდან დასტურდება, მომიჯნავე პროგრამაზე აქტიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე, ინტერაქტიური მეთოდები, როგორებიცაა „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი, სასემინარო მუშაობა. სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და ზოგადად, სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, აკადემიური პერსონალის ნაწილი გადამზადდა ERASMUS+ პროექტის ფარგლებში, მაგალითად, ლუბლინის უნივერსიტეტში, პოლონეთში, ასევე, 2018-21 წლებში, თავად უსდ-ში ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“, „სილბუსის წერის ხელოვნება და სწავლების თანამედროვე მეთოდები“, „სწვალების ეფექტური მეთოდები“, „ონლაინ სწავლების მეთოდები - შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მოცემული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები არის საჯარო, ღია და ხელმისაწვდომი დოქტორანტებისათვის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). როგორც მომიძნავე პროგრამის დოქტორანტებთან შეხვედრისას და პროგრამის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რეგისტრაციის შედეგად დეტალურად გაეცნოს ცალკეული კურსის შეფასების ძირითად კომპონენტებს. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პრეზენტაციებს, დისკუსიაში მონაწილეობას, პრაქტიკულ და თეორიულ დავალებებს, ასევე სამუშაო ჯგუფში მუშაობას. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ

ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ.

როგორც გასაუბრებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტი წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს. დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის შეფასების სისტემა გამჭირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტების გამოკითხვისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

ვიზიტის განმავლობაში, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები.

აქვე ხაზგასასმელია, რომ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით იქნერბა ეს კონსულტაციები თუ ტრეინინგები. განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2021 წლის 21 აპრილს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებისათვის მოცემული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტურ საქმეთა სამსახური, სადოქტორო სკოლის წარმომადგენლები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. კონსულტაციები იმართება როგორც პროგრამაზე ჩარიცხვიდან პირველივე სემესტრის დასაწყისში ასევე სემესტრის განმავლობაშიც, რომლის დროსაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. აქტიურად მოქმედებს ასევე უნივერსიტეტში არსებული სადოქტორო სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირებას. ხოლო სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი თავის მხრივ უზრუნველყოფს სტუდენტთა სათანადო კონსულტაციას როგორც სამეცნიერო კვლევითი-საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების თაობაზე, ისე სტუდენტთა შეფასებისა სისტემისა და კრედიტების დაგროვების პროცესის შესახებ. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სტუდენტები მოცემული სამსახურების მეშვეობით იღებენ ამომწურავ ინფორმაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროფესორების მონაწილეობით დაგეგმილ დარგობრივი ტრეინინგებისა და სემინარების შესახებ, ასევე ინფორმაციას საერთაშორისო კონფერენციების თაობაზე. აქვე ხაზგასასმელია, რომ სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტებისა თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. მაგალითად, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს გერმანულ აკადემიური ფონდ - KAAD-ის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში სრული დაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის ასევე განსაზღვრულია საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში კვლევითი სტატიის გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით ტრეინინგებისა და სემინარების ჩატარება და ამ მიმართულებით ამომწურავი კონსულტაციების გაწევა. რაც შეეხება მკვლევართა შემდგომ პროფესიულ ზრდას, დოქტორანტთა კარიერული განვითარების კუთხით, აქტიურად მოქმედებს სტუდენტურ საქმეთა სამსახური. მოცემული სამსახურის მეშვეობით დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებების თაობაზე, ასევე წარმოადგინონ და განახორციელონ ახალი იდეები დაგეგმილი სოციალური აქტივობების ფარგლებში.

ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება როგორც ინდივიდუალური შეხვედრები,

ასევე ონლაინ-კონსულტაციები. სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. როგორც ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, თვითშეფასების ჯგუფის მიერ ორ კვირაში ერთხელ ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომლებზედაც განიხილება სტუდენტთა პოზიციები. გამოკითხვა ხორციელდება ანონიმურობის დაცვით და რესპოდენტთა აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია სხვადაასხვა სახის ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. ხოლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეგულარულად თავსდება ინფორმაცია სტუდენთა გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე, საკვლევი გრანტებისა თუ პროექტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2021 წლის 21 აპრილს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და დოქტორანტების ხელმჯღვანელებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სადოქტორო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს ეძლევა საშუალება კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური წრიდანაც. როგორც მომიჯნავე პროგრამის დოქტორნატების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტებს სისტემატური შეხვედრები აქვთ როგორც ნაშრომის ხელმძღვანელთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელებთან. ყოველ სემესტრში სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს მოკლე ანგარიში განხორციელებული აქტივობების და სადისერტაციო კვლევის მდგომარეობის შესახებ, რასაც მოსდევს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელების უკუგება. თითოეული დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სადოქტორო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;

• ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან; • სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2021 წლის 21 აპრილს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკაედმიური და მოწვეული პერსონალის საერთო რიცხვია 22, საიდანაც 15 არის უსდ-ს აკადემიური პერსონალი ხოლო 7 არის მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის 15 წარმომადგენელი შემდეგნაირად ნაწილდება: 6 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან 11 არის აფილირებული საიდანაც 6 არის აფილირებული პროფესორი, 4 არის აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 არის აფილირებული ასისტენტ პროფესორი.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, რაც გამოკვეთს, როგორც სფეროში არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემულ სამეცნიერო სტატიებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობას.

პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები ცხადყოფს, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან.

პროგრამის ხელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი და უსდ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 2005 წლიდან. არის მონოგრაფიის, სახელმღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი.

პროგრამის თანახელმძღვანელი არის საჯარო მმართველობის დოქტორი, სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 2000 წლიდან. აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით.

სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური კადრების არსებობის მიუხედავად,

უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამით დაინტერესების მსურველთა სამომავლო მზარდი ნაკადების შეუფერხებლად მართვის მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი, სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი და უსდ-ს სხვა პროფილური სამსახურები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი არის შესაბამისი კვალიფიკაციის, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები • აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახდენს ყოველსემესტრულად შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება;

სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება;

სტუდენტების აკადემიური მოსწრება.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ თითოეული შემოწმების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები უშუალოდ ეცნობება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად, ასევე რეკომენდაციების ხარისხიდან გამომდინარე მათი განხილვა ასევე შესაძლოა მოხდეს, როგორც საფაკულტეტო ასევე საუნივერსიტეტო აკადემიური საბჭოების დონეზე.

უსდ-ში პერსონალის განვითარების მიმართულებები გაყოფილია ორ ნაწილად და გულისხმობს ერთის მხრივ ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს და მეორეს მხრივ პროფესიული განვითარების მეთოდებსა და ღონისძიებებს.

უნივერსიტეტში 2018 წლიდან ასევე მოქმედებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესის თანახმად, უსდ-ს ყველა აფილირებული წევრი აკადემიური კვლევის ანალიზისა და შეფასების მენეჯერს, წარუდგენს შუალედურ და წლიურ ანგარიშებს. ანგარიშების ანალიზის შედეგები წარედგინებათ, როგორც შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს ასევე უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ხარისხის უზრუნველყობის მექანიზმების საფუძველზე მიღებული მონაცემების განხილვის შედეგად, როგორც საფაკულტეტო საბჭოზე ასევე საუნივერსიტეტო აკადემიურ საბჭოზე, ხდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების და ტრენინგების დაგეგმვა და შესაბამისი რეფერირებადი პუბლიკაციების, სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების, საჯარო ლექციებისა და სემინარების ხარჯების დაფინანსების სქემის შედგენა.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს არაერთ საერთაშორისო პროექტში, ამ მხრივ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მონაწილეობა მაგ. Erasmus + პროექტში Sustainable learner-centered Teaching – Advanced Recourse For Goergia and China (STAR), რაც ხელს უწყობს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაძლიერებას უნივერსიტეტში ასევე პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

2020 წლიდან მოყოლებული უსდ-მ ასევე დააფინანსა აკადემიური პერსონალის ავტორობით შემუშავებული 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პროგრამაზე დართული პირადი საქმეები • აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. აღნიშნულმა ცხადყო, რომ უსდ-ს აქვს საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის. მატერიალუ-ტექნიკური ბაზა, მოიცავს სასწავლო ტექნიკით სრულად აღჭურვილ აუდიტორიებს, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას, სწავლება-სწავლის პროცესის წარმართვისთვის საჭრო კომპიუტერულ პროგრამებს და სხვა. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა დაცულია და ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო სივრცეში. უსდ-ს სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დისტანციურად ისარგებლონ უსდ-სთვის ხელმისაწვდომი შემდეგი

ელექტრონული ბაზებით: EBSCO; HeinOnline; Westlaw; Elsevier და სხვა.

მუდმივად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო წიგნადი ფონდის განახლება როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოენოვანი ლიტერატურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- საერთაშორისო ელექტორნულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგამაზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები ცხადყობს, რომ პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა პროგრამის დაფინანსების წყაროა ასევე უსდ-ს ცენტრალურ ბიუჯეტში არსებული თანხები, რაც საჭიროების შემთხვევაში სხვა

ხაჯების დაფარვასთან ერთად, ასევე დამატებით უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის, მათ შორის რეფერირებადი სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნების ხარჯებისა და შესაბამის თემატურ კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების წესის შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს უსდ-სა და შესაბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს ხარისხის მართვის სამსახური. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის უწყვეტ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის შესაბამისად. უსდ-ში მოქმედებს შემუშავების პროცესში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პრაქტიკა, რომელიც კონცენტრირებულია გამოავლინოს თუ რამდენად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამა დამსაქმებლის მოთხოვნებს და ითვალისწინებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებებს; რამდენადაა შესაბამისობაში უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან; შეესაბამება ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებს და სასწავლო პროცესი და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სწავლების იმ ხარისხს, რომელიც საჭიროა აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ/შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვებისა და შედეგების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს და ასევე, უზრუნველყოფს გამოპასუხების ვალიდურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მომზადების პროცესში შემუშავებულ იქნა სადოქტორო პროგრამის შესაბამისი კითხვარები მეტი რელევანტურობის უზრუნველსაყოფად და ასევე, გამოკითხვების გარდა განხორციელდა ინტერვიუები მიზნობრივად შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ვინაიდან პროგრამა ახალია პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ნაწილში ჩართულნი იყვნენ

მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის მართვის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მონაწილე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელობით, მომზადებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა სადისერტაციო საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების წესი“; • საბაუნის ხარისხის მართვის სამსახურის კვლევები, დასკვნები და შეფასების შედეგები; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით, პროგრამა გაზიარებულ იქნა გარე

შემფასებლებთან - სარაგოსას უნივერსიტეტის, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. პროგრამა შეფასებულ იქნა დადებითად, აღინიშნა პროგრამის მნიშვნელობა და აქტუალობა, პოტენციალი, კურიკულუმი და კვლევითი პროდუქტიუილობა. ვინაიდან საჯარო მმართველობის პროგრამა ახალია, ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას გარე შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები გამოყენებულ იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების წესი“; • კოლეგიალური შეფასების დაკვნები; • განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციო პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის განმავლობაში ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს შესაბამისად გამოიკვეთა, რომ საბაუნის პროგრამების მუდმივი განვითარებისათვის

ხორციელდება პერიოდული შეფასება და მონიტორინგი.
ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. უნივერსიტეტში მოქმედებს კითხვარების ანალიზის ოთხეტაპიანი ციკლი. პირველ ეტაპზე ხდება მონაცემების შეგროვება ცალკეული კითხვარების მიხედვით. მეორე ეტაპზე ხდება მონაცემების შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ კომპონენტებთან კითხვარების მიხედვით. მესამე ეტაპზე ხდება შეფასების შუალედური შედეგების მიღება ცალკეული კითხვარის კომპონენტების დაჯგუფების გზით და მათი შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ შუალედურ შედეგებთან, ხოლო დასკვნით ეტაპზე ხდება ხარისხის შეფასების საბოლოო შედეგების მიღება და მათი შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.
საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და გამოიყენება შეფასების შემდეგი ინდიკატორები: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგი და სწავლის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი. საგანმანათლებლო პროგრამის და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ. ხოლო, ახალი პროგრამის შემთხვევაში ყოველსემესტრულად.
პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის მართვის სამსახური სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება.
უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, შესწავლილ იქნა ამერიკის, იტალიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა აღნიშნული ანალოგების მსგავსად მეტ აქცენტს აკეთებს კვლევით კომპეტენციებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების წესი“;
- კოლეგიალური შეფასების დაკვნები;
- ანალოგი პროგრამები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ფარსადანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო დოლიძე

თამთა ცხოვრებაძე

ნანა ფირცხელანი